

შანშიაშვილი ზურაბი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ბიზნესისა და
სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სწავლების პირველი წლის
მაგისტრანტი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2018 წლის 27 დეკემბრის გამოცემული ბრძანების (#01-01/107) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადების წარმოდგენის ვადები 2019 წლის 29 იანვრიდან 2019 წლის 08 თებერვლის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2019 წლის 20 თებერვალი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2019 წლის 26 თებერვალს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 28.12.2018წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 3 კაცით (ბიზნესის მართვის კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი; საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი; ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა - 1 ასოცირებული პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 3 კანდიდატმა.

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 3 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. ქ-ნი მილდრედი კალანდარიშვილი, რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ქალბატონი მილდრედი 44 წელიწადია ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობას.

2011 წლიდან დღემდე დანიშნულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე ასოცირებულ პროფესორად. მას გამოქვეყნებული აქვს ბოლო 10 წლის განმავლობაში 11 სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებში, იგი გახლავთ სტუდენტური ნაშრომების ხელმძღვანელი, „ღირსების მედალოსანი“ და „შრომის ვეტერანი“.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

2. ბ-ნი დავით ვეკუა, რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე (ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონ დავითს აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მოღვაწეობის 10 წლიანი სტაჟი. 2011 წლიდან დღემდე არჩეულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრაზე ასოცირებულ პროფესორად. მას გამოქვეყნებული აქვს ბოლო 10 წლის განმავლობაში 14 სამეცნიერო ნაშრომი, 1 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო. აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, იგი გახლავთ სტუდენტური ნაშრომების ხელმძღვანელი, რეცენზენტი, სადისერტაციო საბჭოს წევრი.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

3. ქ-ნი ლელა კოჭლამაზაშვილი, რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე (ბიზნესის მართვის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ქალბატონი ლელა 26 წელიწადია ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2011 წლიდან დღემდე არჩეულია შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის კათედრაზე ასოცირებულ პროფესორად. ბოლო 10 წლის განმავლობაში მას გამოქვეყნებული აქვს 29 სამეცნიერო ნაშრომი, ასევე გახლავთ 1 მონოგრაფიის და 4 სახელმძღვანელოს ავტორი. აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, იგი გახლავთ სტუდენტური ნაშრომების ხელმძღვანელი, რეცენზენტი, კონსულტანტი, სადისერტაციო საბჭოს წევრი.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა:

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

ლელა კოჭლამაზაშვილი

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

დავით ვეკუა

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა:

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

მილდრედი კალანდარიშვილი

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (21, 22, 25 თებერვალი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 26 თებერვალს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. მათა უკლება

კომისიის წევრები:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

პროფ. გელა ალადაშვილი

პროფ. ლალი ჩაგელიშვილი

პროფ. ლევან დოღონაძე

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი